ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** პარასკევი, 2 აგვისტო. № 1543

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". **ტელეფონი № 372.**

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რუჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვინის პროსპ. და გიორგის გუჩის კუთხე. ✿ **ბაქო,** მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი, მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი და საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 67.** (ნ. 0—1)

კბილის საექიმო კაბინეტი

ელისაბედ რომანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე ოსიფოვის სახლი № 1.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ბ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მუდინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

მ. გ. ფელდტროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

გ. დ. მარკევიჩი—სადოსტაქრო 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ბ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). **ტელეფონი № 274.** (წლ.)

„ივერიის" რედაქციისაგან

მოულოდნელ მიზეზთა გამო „ივერიის" გამოცემა დაბრკოლდა რამდენისამე დღით. რაც ნომრები დააკლდება ხელის-მომწერლებს, შევავსებთ იმ დღეებში, რა დღეებშიაც ჩვენის გაზეთის გამოცემა სავალდებულო არ არის. (1—რ—1)

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

1 აგვისტო.

სარატოვი. აქ კიდევ მეტად დიდი ცეცხლი გაჩნდა. იწვის ხეტყის საწყობები ნავთსადგურთან. გუშინ საბჭომ საგანგებო ზომა მიიღო—მოუმატა ცეცხლის მქრობელ რაზმს 60 კაცი.

რეველი. საგანგებო მატარებლით დღეს აქ ჩამოვიდა დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე. ვოგზალზე მის უმაღლესობას დახვდნენ გუბერნატორი და სამხედრო პირები; ქალაქის თავმა პურ-მარილი მიართვა; შემდეგ წარუდგნენ თავად-აზნაურობის მარშლები და სამოქალაქო უწყებათა წარმომადგენელნი. ვაკზლიდან მისი უმაღლესობა ეტლით ეკლესიაში მივიდა, აქედან „ახალ ბასეინთან", სადაც დაესწრო სურსათისა და არტილერიის საცდელ დატვირთვას გემზე. შემდეგ მისი უმაღლესობა ნავით წავიდა სამხედრო გემებისაკენ. აქედან იგი უყურებდა დვინის პოლკის ორის ბატალიონის გემზე ასვლას და ისაუზმა „მინინზე" ადმირალ როჟდესტვენსკისთან. შემდეგ მისი უმაღლესობა უყურებდა ხსენებულ ბატალიონების გადმოსხმას „პამიატ აზოვა"-დან. შემდეგ ისევ მოვიდა „ახალ ბასეინთან", სადაც დაესწრო ჯარებისა და არტილერიის გადმოყვანას.

კიევი. დაიჭირეს დუქანში აზნაური ზაგოროვსკი, 40-ის წლისა, რომელიც სცდილობდა ყალბი 50 კ. გასაღებას; უნახეს 13 ყალბი ფული სხვა და სხვა ღირსებისა. ზაგოროვსკის სადგომში პოლიციამ ნახა ბევრი ყალბი ფული და ყველა საჭირო იარაღები და მასალა ყალბის ფულის ჩამოსხმისა.

გომბურგი. ინგლისის მეფე-დედოფალი მოვიდა აქ და დარჩება სამი კვირა. მეფე წყლებით ისარგებლებს.

ლონდონი. „ტაიმსი" იტყობინება, რომ გუშინდელ თათბირზე ელჩებმა დაუთმეს ინგლისის წარმომადგენელს და გადასწყვიტეს არ შეიტანონ დადგენილების ოქმში საერთა-შორისო კომისიის დანიშვნა, მხოლოდ მიუმატონ ოქმს შენიშვნა, რომ ბაჟი, საქონლის ფასის მიხედვით დადებული, შეიცვალოს, რაც შეიძლება ჩქარა, განსაზღვრულის ბაჟით. გარდა ამისა კიდევ დაადგინეს განათავისუფლონ ბაჟისაგან ოქრო და ვერცხლი, უცხოეთიდან შემოტანილი პური, ბრინჯი და ფქვილი.—„სტანდარდ"-ს სწერენ ომის ველიდან, რომ ბურების სარდალი ბეიერსი მძიმედ არის დაჭრილი და მოსალოდნელია არ მორჩეს. გემი «მონროზი» ბერმუდაში წავიდა და 900 ტყვე წაიყვანა.

ყაზანი. ტყეების ცეცხლისაგან ვოლგაზე, ნიჟნისა და ყაზანს შუა, ორი დღე სქელი კვამლი იდგა და გემების მიმოსვლას აფერხებდა. ქალაქი გადახურული იყო მწვავე კვამლით. კვამლი შედიოდა ოთახებშიაც და ცუდათ მოქმედებდა ჯანმრთელობაზე. ქარმა მიმართულება გამოიცვალა და მოაშორა ქალაქს კვამლის სუნი და ჭვარტლი.

რეველი. დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე სადილად იყო გუბერნატორთან, რის შემდეგაც ბალკონიდან უყურებდა ცეცხლის მქრობელ რაზმის ფაკელ-ცუგს

ფელეტონი

სამშობლოსათვის!

ამბავი ტრანსვაალის ცხოვრებიდან

(თარგმანი)

III

ერთი საათის შემდეგ დომერსი მივიდა პრეზიდენტთან მის ერთ-სართულიან სახლში. კრიუგერმა შეიყვანა სტუმარი პატარა ოთახში და ჩაკეტა კარები.

— დაჯექ, ჰენდრიკ!—სთქვა კრიუგერმა, მე შენ დაგიბარე ერთ საქმეზე მოსალაპარაკებლად. შენ ხომ იყავი დღეს პარლამენტში და გაიგე, რასაც დეპუტატები თხოულობდნენ?—დიახ, გავიგონე, ძიავ პავლე, რომ ანგარიშსა გთხოვდნენ; მაგრამ მე მგონია, რომ აქ რაღაც ცილის-წამება უნდა იყოს.

ძია პავლე დიდხანს ხმა-ამოუღებლივ სწევდა ჩიბუხს; ბოლოს წარმოსთქვა:

— არა, ჩემო ჰენდრიკ, ცილისწამება კი არა, ეს ნამდვილია; წარმოიდგინე იმდენი ფულია დახარჯული, რომ ანგარიშის მიცემაც კი არ არის შესაძლებელი.

ჰენდრიკმა გაკვირვებით შეჰხედა პრეზიდენტს.

— მაშ მართალია?

— მოიტა ხელი, ჰენდრიკ!—განაგრძო კრიუგერმა,— და დაიფიცე, რომ, რასაც მე გეტყვი, დაურღვეველ საიდუმლოდ დარჩება. ჩვენს გარდა ამ საქმეში კიდევ ორი სანდო კაცია გარეული.

— გეფიცებით, რომ კრინტსაც არსად არ დავსძრავ, სთქვა ჰენდრიკმა და გაუწოდა პრეზიდენტს ხელი.

— აი რაშია საქმე, ჰენდრიკ! აგერ წელიწადზე მეტია, რაც ჩვენ ვყიდულობდით ევროპაში დიდ ძალ ზარბაზნებს, თოფებს, ყუმბარებს, პატრონებს. ამას მე შევახარჯე დინამიტების მრეწველობის შემოსავალი, მაგრამ არც კი ეყო. ჩვენს საიდუმლოდ შეიარაღებაზე დამოკიდებულია ჩვენი სიცოცხლეც, რადგანაც ინგლისი მარტო იმას-ღა ეძებს, რომ რაზედმე შარი წამოგვდოს და ჩვენს თავისუფლებას შეეხოს. თუ, სანამ შეიარაღებას მოვასწრობდეთ, მტერი თავზე დაგვესხა, მაშინ ჩვენი დაღუპვა იქვს გარეშეა. აი სწორედ ამიტომაც არავინ არ უნდა იყოს იქვში, რომ ჩვენ მზადებაში ვართ. აქამდის ეს საიდუმლო წმინდად არის შენახული: არავინ არაფერი იცის. იარაღს ვმალავდით ვეებერთელა ორთქლის ქვაბებში და ამ ნაირად შემოგვქონდა. ჩვენ ისე ოსტატურად მოვაწყეთ საქმე, რომ ვერც ერთმა გველაძუა ინგლისელმა ვერა გაიგო-რა და ვერც ჩვენები მიხვდნენ რასმეს. მაგრამ ეხლა საქმე სხვანაირად დატრიალდა. ეხლა ჩვენივე ხალხი თხოულობს ანგარიშს, თუ სად არის იმოდენა შემოსავალი დახარჯული და რაში. აუცილებლად რამე უნდა მოვახერხოთ.

კრიუგერი ცოტას ხანს შეჩერდა ჰენდრიკს გაუელვა თავში კითხვამ, თუ როგორ უნდა შესძლებოდა იმას ამ საქმეში შველა, მაგრამ მოფიქრების დრო აღარა ჰქონდა. კრიუგერმა ისევ მალე განაგრძო:

— აი რა: საზოგადოება უნდა დარწმუნებული იყოს, რომ ფული დახარჯულია საფინანსო უწყებაში; ამისათვის კი საჭიროა იმისთანა თავგანწირული კაცი, რომელიც თავისზე მიიღებს ბრალდებულებას რამდენისამე ხნით. მე კარგად მესმის, რომ ამისთანა მსხვერპლი ძნელია პატიოსანი კაცისაგან, მაგრამ ეს საჭიროა სამშობლოს კეთილდღეობისათვის. მე არა მგონია, რომ სხვაფრივ მოხერხდებოდეს რამე.

პრეზიდენტმა კიდევ შეისვენა.

— ჰენდრიკ! . შენა ხარ საფინანსო უწყებაში და მხოლოდ შენ თუ შეგიძლიან ეს საქმე იკისრო. მერწმუნე, რომ ამისთანა მსხვერპლს არ მოვითხოვდი შენგან, რომ სადმე მომეპოვებოდეს სხვა რაიმე ხსნა და სახსარი. შენ უნდა წახვიდე, დაიმალო სადმე; შენ ჩაგთვლიან ქურდად, ავაზაკად, მაგრამ ვაჟკაცურად უნდა მოითმინო იმ დრომდის, სანამ არ მოვა დრო და ჩვენს საიდუმლოს ჩვენვე არ გამოვამჟღავნებთ. მაშინ კი ყველა დაინახავს, რომ შენ ქურდი კი არა, ნამდვილი მამულიშვილი და გმირი ხარ.

დომერსმა უნებლივ დაიხია უკან; იმისი თვალები უაზროდ, სულელურად შეაჩერდნენ პრეზიდენტს.

— მე, ძიავ?... მე უნდა?... წამოილუღლუღა იმან.

— დაფიქრდი, ჰენდრიკ!—სთქვა კრიუგერმა მტკიცედ:—ინგლისი, გაიგებს თუ არა ჩვენს საიდუმლოდ შეიარაღებას, მაშინვე ომს გამოგვიცხადებს. ჩვენ ყველამ უნდა შევსწიროთ სამშობლოს: ვინ ქონება, ვინ სიცოცხლე, როცა ომზედაც მიდგება საქმე, და შენ კი აბა რა შეგიძლიან, აბა რითი უნდა გაუწიო სამშობლოს სამსახური? იარაღის ხმარება ხომ არ შეგიძლიან... უნდა გიხაროდეს კიდეც, რომ შემთხვევა ნებას გაძლევს შენც გაუწიო სამშობლოს სამსახური, შენც წილი დაიდო იმ მომავალ მსხვერპლთა შორის, რომელნიც იქმნებიან შეწირულნი სამშობლოს თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის. სხვა ღონისძიება არა არის-რა. შენ მიიღებ საკმაო ფულს და წახვალ შეცვლილი სახელით ევროპაში; იქ შენ განაგრძობ ჩვენი შეიარაღების საქმეს და როცა ბრძანებას მიიღებ, ისევ დაბრუნდები. ნახევარ საათს იფიქრე, მე თავს დაგანებებ.

კრიუგერი გავიდა. დომერსი მივიდა ფა-

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 1542.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ისმენდა ხოროების სიმღერას. 10 ს. და 50 წ. მისი იმპერატორიებითი უმაღლესობა საგანგებო მატარებლით წავიდა რეველიდან.

მიდდელბურგი. სკობელის რაზმი, რომელიც შესდგებოდა 300 კაცისაგან, 27 ივლისს შირივერთან თავს წააწყდა ამდენივე ბურების რაზმს. ბურებმა წინააღმდეგობა გასწიეს 4 საათის განმავლობაში, მაგრამ ბოლოს უკან დაახევინეს მათ. ინგლისელებს მოუკლეს ერთი აფიცერი და ერთიც ჯარისკაცი. დაჭრილია შვიდი.

ლონდონი იაგერსფონტეროდან იტყობინებიან, რომ 31 ივლისს მოკვდა კომანდირი პრეტორიუსი, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ ტყვიით დასჭრეს თვალში.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. «დეილი მაილ»-ს დეპეშით ატყობინებენ პრეტორიიდან: კიტჩენერი ამ ბოლო დღეებში ძლიერ ავად გახდა და ალბად, კაპშტადტში აღარ წავა იორკის ჰერცოგისა და მისი მეუღლის დასახვედრადაო. საზოგადოებამ არ იცის სწორედ, რითაა ავად კიტჩენერი; ამბობენ, ვითომ ბურებმა დასჭრეს ბრძოლის დროსაო. ასეა თუ ისე, ამ მოკლე ხანში უსათუოდ ინგლისში უნდა წავიდეს მოსარჩენადაო.

✿ მთავრობამ ტრანსვაალისა და ორანჟეს ახალშენების სამოქალაქო მმართველობისათვის $6^1/_2$ გირვ. სტერლ. კრედიტი სთხოვა პალატას. ჩემბერლენმა გამოუცხადა პალატას, ამ კრედიტიდან სესხი უნდა მივცეთ იმ ბურებს და ინგლისელებს, ვინც ომის დროს თავიანთ ფერმებს თავი დაანებეს, და ახლა ხელმეორედ ფერმების გამართვას მოინდომებენო. სესხის გარდა, ისე შემწეობაც უნდა აღმოუჩინოთ ამ პირებსაო. შემდეგ მთავრობას ჰსურს, ხელი შეუწყოს ინგლისელ ჯარის კაცებს, ვინც კი სამხრეთ-აფრიკაში დარჩენას მოინდომებს, ადგილ-მამული შეიძინონ. მთავრობას,—დაუმატა ჩემბერლენმა,—მამულების ჩამორთმევა არ სწადიაო.

24 ივლისს, პარლამენტში ბ-ნ ვილიამ გარკორტმა შავი ხალხის (ზანგების) მუშაობის წესებზე ჩამოაგდო ლაპარაკი. ამ საგანმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია.

მთავრობამ შავკანიანებისათვის კაი წესები უნდა შემოიღოს,—სთქვა გარკორტმა,—თუ უნდა, რომ ახალშენების სამოქალაქო მმართველობამ კაი სახელი დაიმსახუროს. მომავალი გვიჩვენებს, თუ ოქრომ რამდენად გარყვნა საზოგადოებაო. ჩემბერლენმა,—სიმართლე უნდა ვსთქვა,—ტრანსვაალის სასტიკი კანონები შავკანიანი ხალხის პასპორტების შესახებ ცოტაოდნად შესცვალა, მაგრამ სრულებით კი არ გაუუქმებია. ეს კანონები, გარკორტის აზრით, ოქროს მადნის პატრონების გავლენითაა გამოცემული. ამ კანონების შემწეობით ეწადათ, შავი ხალხი ძალ-დატანებით მადნებში ემუშავებინათ. კაპიტალისტები იმ აზრს მისდევენ, რომ შავ-ხალხს იმდენა ფასი უნდა ეძლეოდეთ, რაც მარტო თავის სარჩენად ეყოფათო, არა დროს იმდენი არ უნდა მივცეთ, რომ გამდიდრება შეიძლონო. მეტად საშიში იქნება, ახალ-შენების მმართველობა იმისთანა კაცებს ჩაუგდოთ ხელში, ვინც ასეთ აზრებს მისდევენ. ამ ვაჟბატონებმა ძალა-დაატანეს ბურების მთავრობას და პასპორტების შესახებ კანონები გამოაცემინეს. ამათ შეუძლიანთ ინგლისის მთავრობასაც ძალა დაატანონ და ეს კანონები ძალაში დაატოვებინონ. თუ შავ-ხალხს თანასწორ პოლიტიკურ უფლებას ვერ მივცემთ, თავიანთ საკუთარი ნაშრომის მიღების უფლება მაინც არ უნდა წავართვათო. პასპორტები იმ აზრითაა შემოღებული, რომ «შავი ხალხი შრომას შეაჩვიონ»; ასე ამბობდნენ ამერიკაშიაც, ვიდრე შავი მონების ყიდვა-გაყიდვა მოისპობოდა. შავ-ხალხს ძრიელ სძაგს მადნებში მუშაობა და ვიდრე მთავრობას კრედიტს დაუმტკიცებდეთ, პალატას ნება აქვს იკითხოს, შავ ხალხს ძალას ხომ არ დაატანენ და თავიანთ სურვილისა და ნების წინააღმდეგ არ ამუშავებენ. მთავრობამ მაგალითად ვესტ-ინდოეთის წესები უნდა აიღოს: ამ ქვეყანაში შავი ხალხის დასაცველად საკმაოდ რიგიანი კანონებია გამოცემული.

გარკორტს ჩემბერლენმა უპასუხა.

მინისტრი დაეთანხმა გარკორტს, ტრანსვაალის კანონები შავი-ხალხის შესახებ მართლაც-და სასტიკი კანონებიაო და არავის ნება არ უნდა მივსცეთ, მონობა, ან ძალ-დატანებითი მუშაობა შემოიღონო. შავი-ხალხის მათრახით გალახვა მარტო მძიმე დანაშაულობისათვის უნდა იყოს დაწესებული. მთავრობა თანახმაა აგრეთვე, რომ პასპორტის კანონები უნდა გამოიცვალოსო. მაგრამ ცოტა უნდა მოვითმინოთ, ვიდრე ტრანსვაალის კანონებს სრულიად გამოვცვლიდეთო. ჩემბერლენმა ჩამოსთვალა ის ღონისძიებანი, რაც მთავრობამ ამ კანონების შესასუსტებლად მიიღო. მინისტრი უმთავრესად კაპიტალისტებს იცავდა და უფრო წყნარი კილოთი ლაპარაკობდა, ვიდრე ამას წინად ბურების თაობაზე ილაპარაკა. მინისტრი ბეჯითად ამტკიცებდა, რომ კაპიტალისტები კი არა, თითონ ჰოლანდიელები (ბურები) სთვლიან შავ-ხალხს მდაბალ მოდგმადაო და მზად არიან მონებად და ყმებად გადააქციონო. მთავრობას,—სთქვა მინისტრმა,—ფიქრადა აქვს შავ-ხალხს რიგიანად, სამართლიანად მოექცეს, მაგრამ ისიც არ ვარგა, შავი-ხალხი უსაქმობასა და ზარმაცობას მიეჩვივნენო. მადნის პატრონებს რა ხელს მისცემთ, ზანგებს ცუდად მოექცნენ! ხომ იცით, რა ძნელი საშოვნელია მადნის მუშაო? («ირლანდიელი დილონი: ეგ გადა მონისა და ყმების პატრონების ჩვეულებრივი საბუთია ეგა!») მთავრობას ჰსურს სამართლიანად და კაცთ მოყვარულად მოექცეს შავ-ხალხს, მაგრამ არც ისა ჰსურს, რომ კაპიტალისტების უფლება შეამციროს. კაპიტალისტებს სრული უფლება აქვთ მუშები მორიგებით დაიქირაონ. მთავრობა მარტო თვალ-ყურს ადევნებს, რომ კაპიტალისტებმაც და მუშებმაც თავიანთ პირობა შეასრულონ.

შემდეგ ილაპარაკეს დილკმა, დილონმა და სხვ. ზემოხსენებული კრედიტი 196 ხმის უმეტესობით 59 ხმის წინააღმდეგ დაამტკიცა პალატამ.

ავსტრ-უნგრეთი. «ტან»-ის ბუდა-პეშტელი კორესპონდენტი იუწყება, რომ უნგრეთში, კოლოშვარში დიდი უწესოება მოახდინა ხალხმაო:

«პოლიცია მეტად ბრიყვულად ექცეოდა ყველას, ხალხი მოთმინებიდან გამოვიდა, გულმოსული დაეცა პოლიციას და ქუჩებიდან გარეკა. პოლიცია ქალაქის გამგეობის სახლში დაიმალა. ხალხმა ალყა შემოარტყა გამგეობას და რამდენჯერმე ეცადა იერიშით აეღო, მაგრამ ვერას გახდა. მაშინ ხალხი ციხისკენ გაქანდა და 30 ტუსაღი განათავისუფლა. ამას გარდა პოლიცმეისტერის სახლი მილეწ-მოლეწა. საღამოთი ხალხი ეცადა თეატრისათვის ცეცხლი წაეკიდებინა და რამდენიმე სახლი დაანგრია. ქალაქში ცოტა ჯარი დგას და ამიტომ ხალხი ვერ დაამშვიდეს. მაშველ ჯარს ელიან. დიდი შიშიანობაა. ჰფიქრობენ, რომ ხალხი კიდევ ახალ უწესოებას მოახდენსო.»

«ფრანკფურტერ ცაიტუნგი» იუწყება: კოლოშვარში უწესოება მეორე დღესაც იყო. ღამით ხალხი კიდევ დაეცა ზოგიერთ პოლიციელის სახლსა და ცდილობდა რამდენსამე ადგილას ცეცხლი წაეკიდებინა სახლებისათვის, მაგრამ ჯარი მოვიდა და ხალხი გაჰფანტაო.

გერმანია. გაზ. «ნოვოსტი»-ის სწერენ ბერლინიდან: «იმპერატორი ვილჰელმ II კრონბერგში რომ მოვიდა, პოლიციამ წესიერების დასაცველად მეტად სასტიკი ღონისძიება მიიღო. ყველაზე მეტად ყურადღებას იტალიელებს აქცევენ: მუშაობის შემდეგ ქუჩაში აღარ უშვებენ. ოთხი იტალიელი სხვა ქალაქში გაგზავნეს. ანარქისტების საზოგადოების მდივანი, იტალიელი ანარქისტი საზღვარ გარეთ გაისტუმრეს.

✿ გერმანული გაზეთები მეტად ბევრს სწერენ ახალ სადამოჟნო პროექტის თაობაზე. ყველა მხრიდან პროტესტს აცხადებენ. სახელმწიფოები იმუქრებიან, ჩვენის მხრივაც შესაფერისს ღონისძიებას მივიღებთო. «ვეზერ-ცაიტუნგა»-ს სწერენ ლონდონიდან, თუ ინგლისის საქონელსაც დიდი ბაჟები დაედო, ინგლისიც სამაგიეროს გადაუხდის გერმანიასაო. ჯერ ინგლისის მინისტრები დარწმუნებულები არიან, რომ ეს პროექტი არ დამტკიცდება და, თუ, ვინიცობა, მებატონეები თავიანთ აზრს გაიყვანენ, მაშინ ინგლისის მთავრობაც იძულებული შეიქნება ინგლისის საზოგადოების სურვილი შეასრულოს და გერმანიის წინააღმდეგ ღონისძიება მიიღოსო.

იტალია. რომიდან იტყობინებიან: იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრს პრინეტის ლაპარაკი ჰქონია იტალიის ელჩთან გრაფ ლანცთან (გერმანიაშია ელჩად). ლაპარაკის დროს ელჩს დაურწმუნებია მინისტრი, რომ გერმანიის მთავრობა არც თუ მაგდენად თავს გამოიდებს მებატონეების ინტერესების გულისთვისაო. გერმანიის მთავრობა იმ აზრისაა, რომ გერმანიას ყოველ-ნაირი წარმოება საკმაოდ აქვს განვითარებულიო, ამიტომ გერმანიას ყველა სახელმწიფოების გადაკიდება ხელს არ მისცემს, პირიქით გარეშე ბაზრების საშოვნელად გერმანია იძულებულია ყველას კარგის სავაჭრო პირობით შეეკრასო. იტალიელი მუშების შევიწროების თაობაზე გერმანიის მთავრობას უთქვამს ელჩისათვის, ოღონდ იტალიელ მუშებს პასპორტები რიგზე ჰქონდეთ და ამას იქით ხელს აღარ ვახლებთო.

სამხრეთ-აფრიკა. «როსსია»-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან: «გუშინ ლორდ კიტჩენერს პროკლამაცია გამოუცია სამხრეთ-აფრიკაში. კიტჩენერს შემდეგი გამოუცხადებია: «ორივე რესპუბლიკის სატახტო ქალაქები ინგლისელ ჯარებს უჭირავთ, მათი ადგილ მამული ინგლისის სამფლობელოს შემოუერთეთ; ინგლისელებს 35,000 ბური ჰყავთ ტყვედ, ესე იგი თითქმის ორისავე რესპუბლიკის კაცების მომეტებული ნაწილი დატყვევებულია,—ცხადია, ბურებს აღარ შეუძლიანთ წესიერად იომონ. მით მაინც ბურების პატარ-პატარა რაზმები დიდ ზარალს აყენებენ ინგლისელ ჯარებს, ამიტომ ინგლისის მთავრობა იძულებულია სასტიკი ღონისძიება მიიღოს. ინგლისის ჯარების მთავარ-სარდალი აცხადებს: ყველა ბურების რაზმებმა თავიანთ ნებაყოფლობით მომავალ 15 ენკენისთვემდე მორჩილება უნდა გამოაცხადონ. ვინც ამ ვადის შემდეგაც ბრძოლას განაგრძობს, სასტიკად იქნება დასჯილი: ბურების რესპუბლიკების მთავრობის ყველა წევრი, რაზმის უფროსები და ოფიცრები, სამუდამოდ განიდევნებიან სამხრეთ-აფრიკიდან; ვინც 15 ენკენისთვემდე არ დაგვნებდება, იმათი ოჯახების შესანახად გაწეული ხარჯის დასაფარავად უძრავ ქონებას გაუყიდითო».

ლონდონის პოლიტიკურ წრეებს ეს პროკლამაცია სასაცილოდ მიაჩნიათ. მართლაც და, ვინც სიკვდილს არ ერიდება, განდევნისაც არ შეეშინდება. ამასთანავე ეს პროკლამაცია მეთ-

---

ნჯარასთან, საიდანაც მოსჩანდა მშვენიერი ბაღი და დავიწყებით მაღალ ხეების ჯგუფებს ყურება დაუწყო. ამ მოულოდნელმა ამბავმა გულის სიღრმემდის შეარყია მთელი მისი არსება. იმისთვის უადვილესი იყო გამოსვლა ბრძოლის ველზე უსათუო სიკვდილის წინაშე, ვიდრე აესრულებინა ის, რასაც თხოულობდა სამშობლო, მმართველობა და იმისი მამის მეგობარი—პრეზიდენტი. მაგრამ უნდა დამორჩილებულიყო თავის ხვედრს. როგორც ჯარის კაცი, რომელმაც კარგად იცის, რომ, სადაც იმას ჰგზავნიან, აუცილებელი სიკვდილი მოელის, მაინც შეურყევლად ასრულებს ბრძანებას, ისე ხმა ამოუღებლივ უნდა დასთანხმებულიყო დომერსიც. მაგრამ ამისი ხვედრი უფრო საძნელო იყო: ჯარის კაცი კვდება ხორციელად, ამის სიკვდილი კი სულიერია, ზნეობრივი!.. ვსთქვათ, ეს მხოლოდ რამოდენსამე ხანს გასტანდა, მაგრამ მანამდის რას იფიქრებდნენ მისი მეგობარნი, ნაცნობები!—ქურდი, მოღალატე!..

მაგრამ, აქ წარმოუდგა უფრო საშინელი აზრი. ანნა!.. იმასთანაც პირშავად უნდა გამოვიდეს! ოხ, არა, არა, ეს აღემატება იმის ძალღონეს. სჯობს თვით უსაშინელესი სიკვდილი აიტანოს და იმის თვალში კი არ გამტყუნდეს, არ გამოვიდეს პირშავად.

ის დაეშვა სკამზე და მიიფარა პირზე ხელები... ანნა, ანნა!..

მაგრამ რომ უდროოდ გამოქვეყნდეს ეს საიდუმლო, მაშინ ხომ დაიღუპა სამშობლო!.. და ვინ იქნება იმისი მიზეზი, დამნაშავე?—ის: იმას შეეძლო სამშობლოს შველა და არ უშველა, შეეძლო განსაცდელისაგან დახსნა და არ დაიხსნა. რათა? თავის საკუთარი ინტერესებისა გამო.

ასე იჯდა ისევ დომერსი და იტანჯებოდა სულიერად, როცა შევიდა კრიუგერი. პრეზიდენტმა შეჰხედა იმის დაპრანჭულ სახეს, რომელსაც ნათლად ეტყობოდა სულიერი ბრძოლა და ამოიკითხა, რომ საბრალო ჯერ გონს ვერ მოსულიყო.

კრიუგერი მიუახლოვდა. პრეზიდენტის სახეს რაღაც ნაირი ტკბილი გამომეტყველება მიეღო, თითქოს იმას შეეცოდა ეს კაციო.

— სამშობლოსათვის, სამშობლოს კეთილდღეობისათვის, ჰენრიკ!—წყნარად, მაგრამ ჩაგონებით, სთქვა პრეზიდენტმა და აიშვირა ხელი ცისკენ.

— მე ავასრულებ ყოველს,—სთქვა რამდენიმე ხნის უკან მტკიცედ დომერსმა:—რაც თქვენა გნებავთ, ძიავ პავლე! მაგრამ ერთი თხოვნა... ერთად ერთი... თქვენ ნახეთ დღეს ის ახალგაზდა ქალი...

— ჰო, ვიცი, რის თქმაცა გსურს,—გააწყვეტინა კრიუგერმა,—შენ ის გიყვარს და მთხოვ, რომ ნება მოგცე იმას მაინც გაუზიარო, რომ შენ უბრალო ხარ!.. ეგ შეუძლებელია. ჩვენი საიდუმლო არა სულიერმა არ უნდა იცოდეს, თორემ ყველაფერი ფუჭად ჩაივლის. მე შევდივარ შენს მდგომარეობაში, ჰენდრიკ, რასაკვირველია, შენთვის ერთი-ორად სამძიმოა, რომ საყვარელი ქალის თვალში ქურდად გამოხვიდე, მაგრამ ეს მსხვერპლი სამშობლოს დახსნისათვის არის საჭირო, ჰენდრიკ! მე დღეს შენი გულისთვის გავანთავისუფლე იმ ქალის ძმა და ახლა შენი ჯერია: შენც უნდა აასრულო შენი ვალი.

საბრალოს მწარე ოხვრა ამოსკდა გულის სიღრმიდან.

— იმის ნება ხომ მაქვს, რომ უკანასკნელად გამოვეთხოვო და ვუთხრა, რომ მე ვშორდები და, რასაც ჩემზედ ცუდს ეტყვიან, ნუ დაიჯერებს?

— მაგის ნება გაქვს, ჰენდრიკ! მაგრამ გახსოვდეს კი, რომ ეჭვში არავინ არ უნდა იყოს შენს დანაშაულობაში, თორემ ყველანი დავიღუპებით.

— მენდეთ, ძიავ!

— მაშ მოიტა ხელი, ჰენდრიკ! ოხ, შენა ხარ ნამდვილი ვაჟკაცი და სამაგალითო მამულიშვილი! მე შენი იმედი მქონდა და არც მოვსტყუვდი. მოვა დღე, როცა ხალხი ალტაცებით მოგეგებება და ხმა მაღლა აღიარებს შენ სახელს და შენს გმირულ ღვაწლს და თავმომწონედ სადღესასწაულო დროშას აგიფრიალებს. ხვალ დილით მე თითონ მოგიმზადებ ბაშფორთს და სხვა საჭირო ქაღალდებს და ხვალვე უნდა გამოემშვიდობო სამშობლოს. ჰა, ფრთხილად კი იყავ: სულ უკანასკნელი, სამი დღის შემდეგ გამოვა ბრძანება შენი დაპატიმრებისა.

— როგორ? განა ეგეც?—წაიდუდუნა დომერსმა.

— უეჭველად. ჩვენ რომ არავითარი ღონისძიება არ მივიღოთ შენს შესაპყრობლად, ჩვენსავე თავს გავსთქვამთ. ყველა სხვანაირად იფიქრებს. შენ ფიქრი ნუ გაქვს, ეს ბრძანება შენ არაფერ ზიანს არ მოგიტანს. შენ თუნდა ინგლისელების ხელშიაც ჩავარდე, მაშინაც არა გიშავს-რა; ისინი არ გაგთქვამენ; პირიქით, მოხარულებიც იქნებიან, რომ ჩვენ იმოტელა ფული დაგვიკარგნია. ევროპაში—მით უმეტეს ჩვენი წარმომადგენელი შენ სხვა კაცად მიგიღებს, რადგანაც ბაშფორთში სხვა გვარით იქნები მოხსენებული.

ნახევარ საათის შემდეგ ჰენდრიკ დომერსი, მთლად გაყვითლებული და შეწუხებული წავიდა თავის სახლში და საჩქაროდ დაიწყო მზადება გასამგზავრებლად.

მარი ერის უფლებასა ჭხლის ბურებს. წინად კი თითონ ინგლისის მთავრობამ აღიარა ეს უფლება.

ახალი ამბავი

✦ გუშინ-წინ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლის განკარგულებით **განსაკუთრებულმა კომისიამ**, რომელიც შესდგებოდა გუბერნიის ინჟინერის ბ-ნ ბუტკევიჩისა, ტფილისის პოლიცმეისტერისა დ ქალაქ.ს ინჟინერისგან კავკასიის გამოფ. კომისარ თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილისაგან ერთად დაათვალიერა კავკასიის გამოფენის უმთავრესი პავილიონი იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად მკვიდრად არის პავილიონის შენობა გაკეთებული. კომისიის შემოწმებით შენობა სრულიად დანიშნულებისამებრ მკვიდრად არის აგებული, ასე რომ ტეხნიკურის მხრით არავითარს საშიშროებას არ წარმოადგენს.

✦ დღეს, 3 აგვისტოს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ექმნება იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენაზე **ქალაქის საკუთარ პავილიონის** მოწყობის საქმე; კომისიამ უნდა განიხილოს ის საკითხი, თუ როგორ მოიქცნენ პავილიონის დასრულების საქმეში, რადგანაც 5,000 მან. არა ჰყოფნით და ქალაქის გამგეობამ კი გუშინწინდელს სხდომაზე დაადგინა, რომ პავილიონის აღმშენებელი კომისია დანიშნულ 5,000 მან. ხარჯთ-აღრიცხვას არ გადასცილდეს.

✦ ამ რამდენიმე ხნის წინად ტფილისის მეორე მომრიგებელ-მოსამართლემ განიხილა საქმე რუსეთის საიმპერატორო თეატრის **არტისტის ბ. დალსკისა**, რომელიც ქართულ დრამატიულ საზოგადოებას უჩიოდა 300 მან. გირაოს დაბრუნებას, 75 მან., რომელიც მას არ მიუღია 2125 მან. რიცხვში და 326 მან., რომელიც მან იზარალა სათავად აზნაურო თეატრში 20-სა და 21 ოქტომბერს 1900 წლისა, ელექტრონის ჩაქრობით, სულ 700 მან. დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ თავის მხრით მომრიგებელ მოსამართლესთან საჩივარი აღძრა იმის შესახებ, რომ მას დალსკისაგან ოთხის წარმოდგენის საიჯარო 400 მან. არ მიუღია და აგრეთვე 30-სა და 31 ოქტომბერს დალსკას დაქირავებული ჰქონდა თეატრი წარმოდგენისათვის, ხოლო წარმოდგენა აქ შესწყვიტა და ქუთაისში წავიდა, რითაც ზარალი მოუტანა საზოგადოებას 326 მან. სულ 726 მან. მომრიგებელ-მოსამართლემ განიხილა ეს საქმე და მიუსაჯა დალსკის დრამატიულ საზოგადოებისაგან მხოლოდ 138 მან. და დანარჩენში კი უარი უთხრა, რადგანაც დრამატიულ საზოგადოების გამგეობის საჩივარი საფუძვლიანად უცვნია და მისთვის მისაცემ ფულში გამოუქვითებია; მომრიგებელ-მოსამართლის ამ განაჩენზე მომხრენი არ დაყაბულებულან და განუსაჩივრებიათ იგი ტფილისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებაში, სადაც ეს საქმე განსახილველად დანიშნულ იყო ოთხშაბათს, 1 აგვისტოს; დალსკის მხრით ვექილად იყო ბ-ნი მიხაილოვი, ხოლო დრამატიულ საზოგადოების მხრით—ბ. გ. რცხილაძე; ოლქის სასამართლომ ეს საქმე, თანახმად ბ-ნ რცხილაძის შუამდგომლობისა, გადასდო შემდეგი დროისათვის და დაადგინა ეკითხოს მოწმეებს ამ საქმის გარემოება.

✦ როგორც შევიტყეთ, გადაწყვეტილია დანიშნონ კონკურსი **სახალხო სახლის** პროექტის შედგენისა. დანიშნულია ორი ჯილდო, ერთი 500 მანეთისა და ერთიც 300.

✦ სიღნაღიდან იტყობინებიან, რომ იქ ადმინისტრაციას შეუპყრია კატორგიდან გამოქცეული თ. ვოლოხელაშვილის რომელსაც ამ ხანებში რამდენიმე ცუდ-კაცობა ჩაუდენია.

✦ საგუბერნიო სამმართველომ გაუგზავნა ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს მთელი წარმოება **მოქალაქეთა თავის ედიგაროვის** საქმისა.

✦ სასულიერო უწყების მიერ დაწყებული **«მცხეთის ტაძრის ისტორია»** უკვე დაუსრულებიათ და მოკლე ხანში გამოვა. შედგენა და დაბეჭდვა ამ წიგნისა დაჯდება 4000 მ.

✦ **ადვილი საშუალება ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნისა.** თუ რამდენად საჭირო და სასარგებლოა ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნა ჩვენში, ამას ყველანი ჰგრძნობენ და ამიტომ მაზე არცარას ვიტყვით, მხოლოდ შეგვიძლია საზოგადოების სასარგებლოდ მოღვაწე პირებს ვუჩვენო გზა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ადვილად გასახსნელად, ვინაიდან ამის ნება-რთვის აღება გუბერნატორისაგან მეტად გასაჭირია. ეს ყველას ადვილად შეუძლია. საზოგადოება თხოვნას მისცემს ადგილობრივ ბლაღოჩინს, რომელშიაც დაჰპირდებიან სამკითხველოს საჭირო შემწეობას შეძლებისა დაგვარად, ხოლო ბლაღოჩინი იშუამდგომლებს ადგილობრივ ეპარქიალურ მთავრობასთან მის ნება-რთვაზე და ძვირად თუ იქმნება, რომ ნება არ დართონ.

✦ გუშინწინ უნდა მომხდარიყო სხდომა იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის **ქუჩების მოკირწყვლის** საქმის გამოკვლევა, მაგრამ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, სხდომა არ შესდგა, რადგან კომისიის წევრები ყველა საგარაკოდ წაბრძანებულან. მიუხედავათ ამისა თ. ჩერქეზიშვილმა გამართა თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს—ქალაქის ტეხნიკოსმა-ტრამვაის უსახელო საზოგადოების დირექტორმა ბ. ბლანშმა და რუმინელმა ინჟენერმა პიროგოსტინამ, რომელიც უსახელო საზოგადოებას მიუწვევია, როგორც სპეციალისტი ქუჩების მოკირწყვლის საქმეში. ამ სპეციალისტს უკვე წარუდგენია ვრცელი მოხსენება ამ საქმის შესახებ ხსენებულ საზოგადოების გამგეობისათვის და პირს მოხსენებისას წარუდგენს ქალაქის გამგეობას. ბ. პიროგოსტინის აზრით, გელათის და ბამბაკის ქვა კარგი მასალაა ქუჩების მოკირწყვლისათვის, ისე, როგორც რუმინელი ქვა, რომლის ნიმუშებს ინჟენერი მალე წარმოადგენს: ოთხ-კუთხი საჟენის მოკირწყლვა, ამ ინჟენერის გამოანგარიშებით, დაჯდება 40 მანეთამდე.

✦ ტფ. გუბერნიის **ექიმის თანაშემწე** ბ. ბროძელი მიდის დუშეთის მაზრაში გადამდებ სენის წინაღმდეგ საბრძოლველად.

✦ დ. აბაშიდან გვწერენ: „27 ივლისს, ღამის მესამე საათზე ბ. მიმინოშვილს დაეწვა ხუთი თვალი დუქანი, ხის შენობები და სავაჭრო საქონელი. ზარალი 15,000 მ. მეტია. ძლივს გადაარჩინეს ახლო მეზობლების მაღაზიები. აქ შენობები სულ ხისაა, ამიტომ ცეცხლის შიში აქ ყოველთვის დიდია, მაგრამ აქამდე არავინ ჰფიქრობს ცეცხლის მქრობელ მანქანების შეძენაზე“.

✦ დღეს, 3 აგვისტოს, ტფილისის **ოლქის სასამართლოს** სისხლის სამართლის მეორე განყოფილებაში განსახილველად დანიშნულია საქმე სიღნაღის მაზრის მცხოვრების სიმონ მედულაშვილისა, რომელსაც ბრალად თავისის ცოლის მოკვლის განზრახვა ედება. ბრალდებულს მედულაშვილს დაიცავს ნაფიცი ვექილის თანაშემწე ბ-ნი გ. რცხილაძე.

✦ მთავრობის განკარგულებით, შაბათს 4 აგვისტოს ტფილისის პოლიცმეისტერის ბ-ნ კოვალიოვის მეთაურობით საგუბერნიო ტეხნიკი ვასილიევი და ქალაქის ინჟინერი ბ-ნი ეფენჯიანცი დაათვალიერებენ ტფილისის მოქალაქის **წოგიანოვის სახერხავ ქარხანას** იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად ეს ქარხანა ცეცხლის გაჩენის მხრით უზრუნველყოფილია.

✦ 2 აგვისტოს, ტფილისის **ქალაქის გამგეობის** სხდომაზე ქალაქის გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა აღძრა კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული სააღმშენებლო განყოფილების სავალდებულო დადგენილების მე-20 მუხლის სიტყვები: ხელახლად გადაკეთებულ იქნეს“; გამგეობამ დაადგინა, რომ ეს წინადადება ნიშნავს სახლის საფუძვლიდანვე აშენებას.

✦ გუშინწინდელს ქალაქის გამგეობის სხდომაზედ ქალაქის **საბადე-სატყეო კომისიის** თავმჯდომარემ ბ-ნმა ქალანთარმა აღძრა შუამდგომლობა, რომ გადადებულ იქმნეს ქალაქის რომელიმე თავისუფალ თანხიდან 800 მან; ეს ფულები, როგორც აღვნიშნეთ ამ დღეებში, კომისიას სჭირდება იმ მოიჯარადრის გასასტუმრებლად, რომელზედაც ხარჯთ-აღრიცხვაზე მეტი დაიხარჯა; ეს მოიჯარადრე დაყენებული იყო კომისიისაგან ტფილისის მაზრის სოფ. ლილოში ქალაქის ბაღების სარწყავ წყლის აღმოსაჩენად. გამგეობამ გადასწყვიტა გადაიღოს ეს ფული იმ თანხიდან, რომელიც დანიშნულია ვერის ნაწილის მოსაწესრიგებლად და ამასთანავე დაევალოს კომისიას, რომ შემდეგში შეუცადოს და დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვაზე მეტი ფული აღარ ხარჯოს ხოლმე; გამგეობამ აგრეთვე გადასწყვიტა ისიც, შეეკითხონ კავკასიის წყალთა სამმართველოს ხომ საწინააღმდეგო არასფერი იქნება, რომ ს. ლილოდან ქალაქმა საჭირო სარწყავი წყლები გამოიყვანოსო.

✦ ჩვენ გუშინ აღნიშნული გვქონდა, რომ იალტის ალექსანდრეს სახელობის გიმნაზიასთან პანსიონის აღმშენებელმა კომისიამ სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას შემწეობა პანსიონის შენობის დასამთავრებლად; ქალაქის გამგეობამ ეს წინადადება განიხილა გუშინ დილის სხდომაზე და მიიღო რა სახეში ის გარემოება, რომ ქალაქს ამჟამად ძალიან ნაკლები სახსარი აქვს, დაადგინა—უარი გამოუცხადოს აღნიშნულ კომისიას მის თხოვნაზე.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე ქალაქის გამგეობის წევრმა თ. ნ. ვ. ჩერქეზიშვილმა წარადგინა ოქმი კონსულის ქუჩაზე ტფ. **ცეცხლის მქრობელ რაზმის** სადგურის ასაგებად კომისიის მიერ ადგილის დათვალიერების შესახებ. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამას წინად ტფილისის საბჭომ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა, რომლითაც გადადებული იქმნება 138 ათასი მ. იმ სადგომის ასაშენებლად, სადაც

IV

მეორე დღეს დილით ჩარლს ტილე გამოუშვეს საპყრობილიდან. ის საჩქაროდ გამოემშვიდობა თავის დას, წაიღო რაც ფული ეპოვებოდა და წავიდა კაპშტადტში, საიდანაც ავსტრალიაში უნდა გადასულიყო, რადგანაც იქ ინგლისელი კორესპონდენტები რაღაცა ადგილს დაჰპირდნენ.

ამ რიგად ანნა მორჩა ყოველ უსიამოვნებას და შემაწუხებელ ზრუნვას ძმისადმი. ეხლა თავისუფლად შეეძლო სულით და გულით მისცემოდა თავის ბედნიერებას და განცხრომას.

საღამოთი უნდა მოსულიყო ჰენდრიკი, როგორცა ჰქონდა ნათქვამი, და ნიშნობაც უნდა ჰქონოდათ.

მაგრამ აჰერ ცხრის ნახევარია და ჰენდრიკი კი არსადა სჩანს. ანნა შეწუხდა. ქალბატონი ახტერმანისა სცდილობდა როგორმე გაერთო და გაემხიარულებინა და მალ-მალ ხუმრობით ეუბნებოდა: „ყველა პატარძლები ეგრეთები ხართ, მოუთმენელნი: თუ მთელი მსოფლიო არ გაიგებს იმათ ნიშნობას, ვერ მოისვენებენ“.

რამდენიმე წუთი უკლდა ცხრა საათს, როცა მოახლემ მოახსენა ქალბატონებს, რომ დომერსი მოვიდაო და ანნას ნახვას სურვობსო. ანნას გული გადაუტრიალდა; იმან თითქოს იგრძნო რაღაცა უბედურება და ხმა ამოუღებლივ გაჰყვა მოახლეს; ჰენდრიკი იდგა სახლის წინ, ტირიფების ქვეშ.

— მე სულ რამდენიმე წუთით მოვედი,— დაიწყო ჰენდრიკმა რაღაცა დაუჯერებელი კილოთი,—რომ შენ გამოგემშვიდობო, ანნა! ისეთი საჭირო და საჩქარო საქმეებია, რომ იმათი გადადება არ შეიძლება: უნდა დაუყოვნებლივ გამოვცხადდე კაპშტადტში. ძლივს ვიხელთე ორი წუთი თავისუფალი დრო და მაშინვე აქეთ გამოვქანდი.

— ანნამ შეამჩნია, რომ ჰენდრიკს ხმა უკანკალებდა და სცდილობდა დაემალა თავისი მღელვარება.

— შენ, რასაკვირველია, უმიზეზოდ არსად არ წახვალ, მე დარწმუნებული ვარ, ჰენდრიკ! მე მხოლოდ ესე უცებ არ მოველოდი, რომ...

— მჯერა, ჩემო ძვირფასო, მჯერა!—ის მიუახლოვდა ანნას და ხელი მოჰკიდა. ანნამ იგრძნო, რომ დომერსს ხელი უკანკალებდა.

— ანნა! დარწმუნებული ხარ ჩემში? გაქვს ჩემდამი, ჩემი სიმართლისადმი რწმენა?—წაილუღლუღა იმან და მიიზიდა გულთან ანნა.—გაქვს რწმენა იმდენად, რომ სხვების ენამ და მითქმა-მოთქმამ ვერ შეარყიოს იგი?

ანნამ გაკვირვებით შეჰხედა იმას და თუმცა ბნელოდა, მაინც შეამჩნია, რომ დომერსის გადაფითრებულ სახეზედ იხატებოდა გამოუთქმელი, უსაზღვრო მწუხარება. რა ამბავია, რა დაემართა ამ კაცს, ავად ხომ არ არის, ხომ არა ბოდავს? ესე უცებ როგორ გამოიცვალა? ჩვეულებრივათ ეს კაცი, რამდენადაც ანნა იმას იცნობდა, ყოველთვის აუჩქარებელი და დინჯი იყო და ეხლა კი რა დაემართა, როგორ შეწუხებულა, აღშფოთებულ-აღელვებულა?!..

— მაქვს,—უპასუხა ანნამ მტკიცედ,— მაქვს და ყოველთვისაც მექნება; ყოველთვის ვიქნები დარწმუნებული შენში. მე ამას გულწრფელად ვამბობ, ჩემო ჰენდრიკ, გჯეროდეს!

— შენ დიდი გამოცდა მოგელის, მაგრამ, თუ ისე გიყვარვარ, როგორც მე მიყვარხარ, არ შედრკები. მშვიდობით, საყვარელო,—მე უნდა წავიდე, დრო აღარ არის.

იმან მიიზიდა ანნა მკერდთან, გრძნობით აკოცა და წუთის შემდეგ გაჰქრა ღამის წყვდიადში.

ანნა ძლივს მოვიდა გონს და წაივლო თავში ხელები. რაღაც საშინელება გამოიხატა იმის სახეზე და უცებ წასკდა ტირილი... საბრალოს ეგონა, რომ ყოველი მისი ბედნიერება ოცნება იყო და გაჰქრაო.

. . . .

მეორე დღეს საღამოთი იოჰანესბურგის გაზეთებში იყო დაბეჭდილი შემდეგი დეპეშა:

„როგორც ვუწყით, დიდი ხანია, რაც მითქმა-მოთქმაა იმ უწესრიგობაზე, რომელიც რესპუბლიკის საფინანსო უწყებაში ხდებოდა. ეხლა, უკანასკნელ კრებაზე, კითხვა იქმნა აღძრული ამის შესახებ. პრეზიდენტმა კითხვის პასუხი შემდეგ სხდომისათვის გადასდო; მაგრამ აღძრულმა კითხვამ საქმე უკვე თავისთავად გამოარკვია. საფინანსო კომიტეტის მდივანი ჰენდრიკ დომერსი უეცრად გაჰქრა პრეტორიიდან. ყოველ იქვს გარეშეა, რომ იმოდენა თანხა—თითქმის 30000 გირვანქა სტერლინგი—იმისაგან არის გაზიდული. საკვირველია, ან აქამდის როგორ ვერავინ ვერ შეამჩნია, იმოდენა ფულები რომ აკლდებოდა, და ან იმ ქურდმა როგორ მოახერხა ეგრე ოსტატურად გაპარვა.

„საქმეთა წეს-წყობილება ტრანსვაალში დღითი დღე უკან-და-უკან იწევს და ირყევა. ეხლა კი დარწმუნებით უნდა ვსთქვათ, რომ დრო დაუდგა ინგლისს ჩვენს საქმეში ჩაერიოს და ბოლო მოუღოს უთავბოლო მმართველობას“.

ანნამ რომ ეს წაიკითხა, ერთი გულსაკლავად შეჰკივლა და უგრძნობლად ძირს დაეშვა. შეშინებულმა ქ. ახტერმანისამ საჩქაროდ გადაიტანა გულწასული საწოლზე და მაშინვე ექიმთან აფრინა. ექიმი დროზე მოვიდა, გასინჯა, ავადმყოფი და მწუხარებით განაცხადა რომ ნერვების სისუსტის სიცხე აქვსო.

(დასასრული იქნება)

ცეცხლის მქრობელ რაზმს გარდა იქ მოთავსებული იქმნება სადგომი ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოსი. გამგეობამ, განიხილა რა ამ საქმის შესახებ ვრცელი მოხსენება, გარდასწყვიტა—იშუამდგომლონ ტფ. საბჭოს წინაშე, რომ ნება დართოს გამგეობას ქალაქის სახლების ერევნის მოედანზე და კონსულის ქუჩაზე დაგირავებით ადებულ იქმნეს 160,000 მ. აღნიშნულ სადგომის ასაშენებლად; გამგეობა ამ მოხსენებას წარუდგენს განსახილველად საბჭოს 4 სექტემბრის სხდომაზე.

◆ გომბორიდან გვწერენ: «ამ დღეებში აქ ორი უბედურება მოხდა: 30 ივლისს საძოვრიდან დაბრუნებულმა ძროხამ ერჩოლა 14 წლის მოსამსახურე ქალს და ძალიან მძიმედ დააშავა; მეორე დღეს ტროიკა დაეტაკა ცხენით მომავალ თათარს, გადმოაგდო ცხენიდან და ზედვე გადაუარა. საწყალი თათარი იმდენ ხანს ეგდო უპატრონოთ, სანამ თვითონ გონს არ მოვიდა და მოსულმა ამხანაგებმა შინ არ წაიყვანეს“.

◆ ამ ზაფხულს ბორჩალოში, განსაკუთრებით შულავერში მეტად ბევრი მანდვრის თაგვია და დიდძალი პური გააფუჭა. ეხლა თაგვი ბაღებში გადასულა და ვენახებს აფუჭებს. მაზრის ადმინისტრაციის შუამდგომლობის თანახმად, ტფილისის გუბერნატორმა სთხოვა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას და მიწად-მოქმედების რწმუნებულ, ეჩვენებინათ, თუ რა საშუალებით შეიძლება ბრძოლა მინდვრის თაგვთან. სამეურნეო საზოგადოებას გამოუგზავნია რამდენიმე ბროშურა. ბ. მედვედიევს კი უჩვენებია სამი საშუალება: მტაცებელ ფრინველების მიჩვევა, თაგვის ტიფის აცრა და თაგვის შაქარი: ბ. გუბერნატორს უთხოვნია ბ. მედვედიევისათვის გაგზავნოს ბორჩალოში სპეციალისტი მოხელე ამ საქმის გასაძღოლად.

◆ ავლაბარში შემდეგი ამბავი მომხდარა: სიღნაღის მაზრის მცხოვრებს, დ. მ—შვილს, ამ ერთი თვის წინად ცოლთან რაღაცაზე ლაპარაკი მოსვლია. გაჯავრებულ ცოლს უთქვამს ქმრისათვის, აღარ მინდიხარ, სახლიდან მომშორდიო. ამდგარა დ—იც და ხმა ამოუღებლად სახლიდან წასულა. ერთი თვის შემდეგ ცოლს გაუგია, რომ სოლანლუღში დაუჭერიათ დამხრჩვალი კაცის გვამი. წასულა მის სანახავად, ჩემი ქმარი ხომ არ არისო, და ვითომ უცვნია კიდეც, დამხრჩვალი გვამი ჩემი ქმარიაო, და იმავე დღეს დაუმარხავს წესისამებრ. მას კი შავები ჩაუცვამს. მაგრამ დახე, იმავე საღამოს ქმარი მოსულა და უთქვამს, რომ სოფელში ვიყავი ერთი თვით გაქცეულიო.

◆ მოგვივიდა რუსულ ჟურნალ „კავკაზსკი ვესტნიკ“-ის მერვე ნომერი.

◆ **მამა დავითის მცხოვრებლებმა** სთხოვეს ქალაქის გამგეობას კანალიზაციის გაკეთება ქალაქის ხარჯით. კუთვნილ ფულს მთხოვნელები გადაიხდიან შემდეგ.

◆ როგორც ვიცით, ტფ. ქალაქის გამგეობას ყოველ წლივ აქვს 1500 მ. თავის მოხელეთა **დასაჯილდოებლად**. ამ დღეებში ამ ფულიდან 800 მ. უკვე დაურიგებიათ მხოლოდ ისეთ მოხელეებისათვის, რომელთაც 100 მანეთზე მეტი ჯამაგირი აქვთ თვეში. რა დააშავეს წვრილმა მოხელეებმა, არ ვიცით.

◆ პოლიციის მე-4 ნაწილში, 1 აგვისტოს კონსულის ქუჩაზე მცხოვრებმა მარიამ შენგელიამ გამოაცხადა, რომ მას საკუთარს სახლიდან ვიღაც ბოროტ განმზრახველმა მოჰპარა 500 მან. ქურდობაში ეჭვი მიატანეს მოსამსახურე ანდრია გოტვადოზე, რომელიც უკვე დააპატიმრეს და ოქმთან ერთად წარუდგინეს საქმის გამოსარკვევად გამომძიებელს.

—

შეცდომის გასწორება. გუშინდელ „პრესსა“-ში სწერია:

„ბურჟუაზიულ ინტელიგენციასაც იმდენად მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც ნაკლებ იყო იგი გამჭვალული დემოკრატიული ინტერესებით“.

უნდა იყოს: ბურჟუაზიულ ინტელიგენციასაც იმდენად მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც ნაკლებ იყო იგი ბურჟუაზიული და რამდენადაც მეტად იყო გამსჭვალული დემოკრატიული ინტერესებით.

პრესსა

ორმოცდაათი მილიონი გერმანელი, განათლებული და შეიარაღებული ყველაფრით, რაც კი ევროპის კულტურას შეუქმნია, ებრძვის სამ-ოთხ მილიონ პოლონელს, რომელიც, შედარებით გერმანიასთან, ნაკლებ კულტურული და შეიარაღებულია. **გერმანელებმა ამ ბრძოლას მოანდომეს უკვე ერთ მილიარდამდე.** უმთავრესად ბრძოლა ეკონომიურ ნიადაგზე სწარმოებდა. ცნობილი „ჰაკატისტები“ (გერმანელთა საზოგადოებაა, რომლის მიზანია პოლონელების გაგერმანელება, ან ტერიტორიიდან განდევნა) ჰყიდულობდნენ და ჰყიდულობენ ეგრედ წოდებულ „საკოლონიზაციო ბანკის“ საშუალებით პოლონელ თავად-აზნაურობის მამულებს და ჰყიდდნენ გერმანელ კოლონისტებზე. საპასუხოდ პოლონელებმაც დაიარსეს ბანკი, რომლის საშუალებით იძენდნენ გაკოტრებულ (თავად-აზნაურობა თითქმის ყველგან ერთი და იგივეა) თავად-აზნაურების ადგილ, მამულს და პოლონელ მიწის მუშაზე ჰყიდდნენ. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებმა კარგა ძალი ადგილები შეიძინეს, პოლონელები ეკონომიურად თანდათან ძლიერდებიან; თუ თავად-აზნაურობა ეცემა (და სად არ ეცემა იგი) და სუსტდება, სამაგიეროდ ძლიერდება წვრილ მესაკუთრეთა კლასსი. გარდა „საკოლონიზაციო ბანკისა“, გერმანელებმა დააარსეს კიდევ „აღმოსავლეთის სავაჭრო-სახელოსნო“ ბანკი, რომელიც ხელს უწყობს გერმანელ ვაჭრებსა და ხელოსნებს პოლონეთში. მაგრამ აქაც მარჯვედ არიან პოლონელები: რადგან მათ გერმანიის სამსახურში დაწინაურება არ მოელისთ, შეაქციეს ზურგი ამ სამსახურს და ენერგიულად შეუდგნენ ვაჭრობა-მრეწველობის გზას. მიუხედავად ყველა ამისა, ერთის გაზეთისა არ იყოს,

„სასწაულად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ პოლონური ელემენტი არა თუ არ დაეცა ამ უსწორო ბრძოლაში, წინააღმდეგ—ეკონომიურად გაძლიერდა და ახალ-ძალებს მოუყარა თავი „ჰაკატისტების“ მიერ განზრახულ ახალ ღონისძიებებთან საბრძოლველად“....

„რა ძალების პატრონია პოლონური საზოგადოება პრუსიაში, რომ იგი ასეთის სიმტკიცით და სახელით უმკლავდება უძლიერესს მტერს“?

ეჭვს გარეშეა, ამბობს იგივე გაზეთი, რომ ეს ძალები ეკონომიურ სფერის გარეშე არისო.

„ეს ძალები უნდა მივაკუთვნოთ ზნეობრივ მოვლენათა სფერას და ეს გარემოება კი ამტკიცებს, რომ თვით ეკონომიურ ბრძოლაშიაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ერის სულის ძალას და მის აზრთა მიმართულებას და ბევრ შემთხვევაში მათ შეუძლიათ თვით მატერიალურ საშუალებათა მაგიერობა გასწიონ“.

როდესაც ერს შეუგნია თავისი ვინაობა და ძვალ-რბილში გამჯდარი აქვს სურვილი ამ ვინაობის დაცვისა, იგი მხნედ იბრძვის და შეუძლია გაუმკლავდეს მოსულ მტერს, თუნდა იგი ისეთი ძლიერიც იყოს, როგორც გერმანია.

პროვინცია

ქვიშხეთი. ამ სოფელს სამის მხრით რკინის-გზით მოსასვლელი გზები აკრავს. თვით მდებარეობა ამ სოფლისა საუცხოვო და მომხიბლავია: სახლები აშენებულია უფრო მომაღლო ადგილებზე, საიდანაც თვალ-წინ იშლება მშვენიერი ბუნება. ბუნების სიკარგე-სილამაზის შესაფერად მცხოვრებნიც ამ სოფლისა, უფრო მხნე, მარჯვე, უჩნადი გამომეტყველებიანი არიან შედარებით სხვა ქართლის სოფლებთან, სადაც გლეხობა დაჩაგრულ, დაღონებულ, დაბეჩავებულია. აქაური გლეხი უფრო წელ-გამართულს, დამოუკიდებულს ჰგავს. წარსულშიაც, ბატონ-ყმობის დროს, როგორც გადმოგვცეს, აქაური გლეხები ვერ ურიგდებოდნენ სასტიკ მოპყრობას, უსამართლობას და ამიტომაც თურმე შეერთებულის ძალით ეწინააღმდეგებოდნენ ერთ ადგილობრივ მებატონეს.

ყოველივე საჭირო სანოვაგე შედარებით სხვა ქართლის სოფლებთან (სურამთან, ქარელთან გომთან და სხვა) იაფია. ხალხი, როგორც ეტყობა, ძრიელ შეგნებულად უყურებს მცირე ვაჭრობა-წარმოების საქმეს: ყოველივე ნაწარმოებს ჰყიდის ხელ-მოსაცემ ფასებში. ყოველივე გარეგანი და შინაური პირობა-თვისებებით სოფელი ქვიშხეთი და მცხოვრებნი ისეთი არიან, რომ თუ ვისმეს კი ჰსურს დაბინავება, დასახლება საზაფხულოდ, ამაზე უფრო მოხერხებულ, მომზადებულ ადგილს იშვიათად იპოვის. ჩვენ გვიკვირს, რატომ დ. სურამს იმდენი ხალხი აწყდება საზაფხულოდ მაშინ, როდესაც ს. ქვიშხეთში სულ ცოტა მომსვლელია. ამ ორ ახლო მდებარე სოფლებ შორის შედარება არ არის. ქვიშხეთი ცნობილია თავის სისუფთავე-სიწმინდეთ, ბუნების მომხიბლავ სიმშვენიერით; სურამი კი თავის უხერხული, უწმინდური ქუჩებ-სახლებით და ბუნების სიღარიბით. თუ მართლა შესაძლებელია როდისმე კარგად, ხელოვნურად მოწყობილი საკურორტო ადგილი, ერთი ასეთი ადგილი ქვიშხეთია. როგორც გავიგეთ, ადგილობრივ მცხოვრებთაც და რამდენიმე ყმაწვილ კაცებს მოუნდომებიათ უკვე ამ აზრის განხორციელების შედგომა: ამოურჩევიათ რამოდენიმე მოხერხებული ადგილი სახლების ასაშენებლად, მოულაპარაკებიათ საჭირო მასალის მოპოვების შესახებ, გადაუწყვეტიათ ნდობაზე დაფუძნებული ამხანაგობის შედგენა, საჭირო თანხის მოგროვება და ამნაირად საქმის შესრულება. რა თქმა უნდა, საქმე მხოლოდ მაშინ დაიწყება და შესრულდება, თუ ადგილობრივი მცხოვრებლები ჯეროვანი ყურადღება-თანაგრძნობით მოეპყრობიან ამ საქმეს: დაუთმობენ პირველად საჭირო ადგილს, გაუწყობენ ხელს ინიციატორებს სხვა და სხვა მასალის მოწოდებით. პირველად განზრახულია ასი კაცის საყოფი ბინა-სახლები აშენდეს. დარწმუნებული ვართ, რომ პირველსავე წელიწადს მოაწყდება ხალხი ამ ახალ საზაფხულო ადგილს, მით უმეტეს მაშინ, თუ რიგიანად, კარგად, ყოველივე საჭირო საგნებით იქნა მოწყობილი ახალი კურორტი. ამ საქმის ინიციატორებს აზრად აქვთ «პანსიონებსავით» მოაწყონ, სადაც გადაჭრილი ფასით ყოველივე საჭირო მოთხოვნილებას დაიკმაყოფილებს მოაგარაკე. თუ საჭირო ენერგია-მონდომებით შეუდგნენ ამ საქმეს, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადვილად განახორციელებენ ამ სასარგებლო აზრს და თანაგრძნობასაც თან და თან მოიპოვებენ ყველა შეგნებულ და მცოდნე პირებისაგან.

მოგზაური.

სალამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

2 აგვისტო

პეტერბურგი. გამოცხადდა ფინანსთა მინისტრის ცირკულიარი იმის შესახებ, რომ სათადარიგო შაქრიდან კიდევ 500,000 ფუთი უნდა გაიყიდოს რუსეთშიო. ამ შაქარში დამატებით ბაჟს არ აიღებენო.

1 აგვისტოს კრონშტადტის ნავთ-სადგურში ხელმწიფე იმპერატორმა გემები დაათვალიერა: ჯავშნიანი გემი „იმპერატორი ნიკოლოზ I“, ნაღმების მზიდავი გემი «ამური„ და „ენისეი“, პირველი ხარისხის კრეისერი „ვარიაგი“ და მეორე ხარისხის გემი «კრეისერი».

31 ივლისს დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზისძე პეტერბურგიდან სამხრეთ რუსეთში წავიდა.

ბორისოგლებსკი. ფეტვსა და ხაშხაშს სიცხე ახდენს. ლილიფარის მოსავალს კარგი პირი აქვს. ბალახი ხმება. საქონლის საჭმელი მეტად ძვირია. ბორისოგლებსკს ახლო რამდენიმე დღეა ტელერმანის ტყე იწვის.

სოფია. სარაფოვის საქმეში ყველა ბრალდებულები ერთხმად გაამართლეს.

„ბოლგარიის სააგენტო“ ამბობს, ის ცნობა, ვითომც მთავრობას რუმელიის ხარჯის გადახდა აღარ უნდოდეს, ტყუილი ცნობაა.

რედაქტორი	გამომცემელი
ალ. ჭყონია.	**ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო-გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. (9 ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

განცხადებანი

მე-XIII პერიოდი ბუღალტერიაში მაცადინეობისა.

ნ. ვ. აბრამიანი,

„სავაჭრო და საფაბრიკო ბუღალტერიის სახელმძღვანელოს“ ავტორი, პრაქტიკულის ვარჯიშობით **ასწავლის ბუღალტერიას** ორივე სქესის პირთ **ოთხის თვის განმავლობაში**, თავდებობით და, თუ საჭირო იქმნება, რეკომენდაციითაც. **ასწავლის შემდეგ საგნებს:**

1) იტალიური ბუღალტერია მრეწველობის ყოველგვარ დარგისა, მათ შორის ნავთის წარმოებისაც და კეროსინის მრეწველობისაც.

2) კომმერციული არითმეტიკა.

3) კომერციული კორრესპონდენცია.

4) ვაჭრობისა და ვექსილის წესდება.

5) სუფთა-წერა, კალლიგრაფია და ცუდის ხელის გასწორება.

სწავლა დაიწყება 1901 წ. 15 ენკენისთვიდან, ნასადილევს, პერიოდულად ყოველ ოთხ-თვის შემდეგ.

მსურველთ ვთხოვ მომმართონ წერილით ან პირადად: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 48, ყოველ-დღე, საღამოს 4 საათიდან 6-მდე.

ზემოხსენებული სახელმძღვანელო იყიდება 3 მანათად და 50 კაპ. ტფილისში და აგრეთვე რუსეთის წიგნების ცნობილ მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორიდან გამოიწერს, ფასდადებისათვის არაფერს იხდის.

ბუღალტერიის კურსის შესწავლის ფასი 60 მანათი. (10—1)

ელექტრონით მეჭედავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.